ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №60
2018 წლის 26 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამა და ბენეფიტის გაცემის წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №37 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 05/01/2018 წ.; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016362).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 01 იანვრიდან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამა და ბენეფიტის გაცემის წესი

მუხლი 1. პროგრამის სფერო და მიზანი

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ბიუჯეტიდან ბენეფიციარებზე – ამ პროგრამის მე-6, მე-16, მე-17 მუხლების მიზნებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ 3 თვის რეგისტრაციისა და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეებზე, ხოლო სხვა ქვეპროგრამებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ 3 თვის რეგისტრაციის მქონე მოქალაქეებზე, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე გასაცემი თანხის (შემდგომში – ბენეფიტი) ოდენობასა და გაცემის წესს.
2. პროგრამის მიზანია ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება, მათი რაოდენობის ზრდა, ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების შექმნა–გაუმჯობესება.

მუხლი 2. სოციალური დაცვის ქვეპროგრამები

პროგრამა მოიცავს სოციალური დაცვის შემდეგ ქვეპროგრამებს:
ა) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ბ) მრავალშვილიანი (3 და მეტი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

გ) მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

დ) უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ვ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ზ) მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება;

თ) 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ი) ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება;

კ) მარტოხელა მშობლის (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ლ) 10 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა;

მ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფა;

ნ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება;

ო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა;

პ) ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება;

ჟ) „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ყოველთვიური ფინანსური დახმარება.

მუხლი 3. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილის მშობელზე, რომლის ახალშობილიც დარეგისტრირდა ამავე მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლად ახალშობილობის პერიოდში (0-დან 28 დღის ჩათვლით). პირველ და მეორე ახალშობილზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, მესამე და მომდევნო შვილის შეძენის შემთხვევაში – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ტყუპის შეძენის შემთხვევაში – 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის (მშობლის) პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ახალშობილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ახალშობილის და მისი და-ძმების დაბადების მოწმობის ასლები;

ზ) მშობლის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 4. მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. მრავალშვილიან (სამი და მეტი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება

გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მშობლებზე (საჭიროების შემთხვევაში მშობელზე) 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მშობლების/მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის (მშობლების/მშობლის) პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) მშობლის (ერთ-ერთის) საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 5. მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება
1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე:
ა) ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში – მშობელზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) ორივე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში – წარმომადგენელზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2. დახმარების მიმღებმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მშობლის ან წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები;

ე) ცნობა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან ბავშვის მეურვის/მზრუნველის ვინაობის შესახებ (დედ-მამით ობოლი ბავშვის შემთხვევაში);

ვ) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული ბავშვის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

ზ) ბავშვის/ბავშვების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) მშობლის/მეურვის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 6. უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა
1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველ 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, უსახლკარო პირთა ოჯახებზე (უპირატესობა მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მცირეწლოვანი ბავშვის ოჯახებს), რომლებიც სტიქიური მოვლენების და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო დარჩნენ უსახლკაროდ და ქვეყნის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი, ყოველთვიურად ბინის ქირისათვის გაიცემა ფულადი დახმარება არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

დ) არასრულწლოვანი შვილის/შვილების დაბადების მოწმობის ასლი/ასლები (საჭიროების შემთხვევაში);

ე) ქვეყნის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) ოჯახის ყველა წევრზე;

ვ) ქირავნობის ხელშეკრულება;

ზ) მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის და უსახლკარობის შესახებ;

თ) ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წერილობითი ინფორმაცია სტატუსის შესახებ);

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ;

კ) გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ლ) გამქირავებლის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით (ინსპექტირების აქტის საფუძველზე).

მუხლი 7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა ოჯახზე/წარმომადგენელზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მშობლის/მეურვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან ბავშვის მეურვის/მზრუნველის ვინაობის შესახებ;

ე) შშმ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ვ) შშმ ბავშვის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, იძულებით გადაადგილებული ბავშვის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

თ) მშობლის/მეურვის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 8. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან (9 მაისი) დაკავშირებით, ხოლო სხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ

(70 000-ი და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე) ვეტერანზე – 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ვეტერანის დღესთან დაკავშირებით (17 ოქტომბერი), სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მიწოდებული სიების საფუძველზე.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ომის ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ომის ვეტერანის მოწმობის ასლი;

ე) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის (ომის ვეტერანის) პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ვ) სოციალურად დაუცველი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანმა – ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ზ) ომის ვეტერანის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება
1. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება:
ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება;

ბ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის (ომის მონაწილის) დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება.

2. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) ვეტერანის მოწმობის ასლი (ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში);

ე) გამოთხოვილი იქნას ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის (ომის მონაწილის) გარდაცვალების შემთხვევაში;

ვ) პირის მიერ უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გაწევის თაობაზე მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ინფორმაცია მაჟორიტარი დეპუტატის და ორი მეზობლის დადასტურებით (უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში);

ზ) დაკრძალვის ხარჯის გამწევი პირის საბანკო ანგარიში.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 10. 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური

დახმარება

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ხანდაზმულის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის (ხანდაზმულის) პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ხანდაზმულის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 11. ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება

1. 2018–2019 კალენდარული წლის განმავლობაში საცხოვრებელ სახლზე ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, უსახლკაროდ დარჩენილ, დაზარალებულ ოჯახებს, რომლებსაც ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სახლი, მიეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება, დაზიანების ხარისხის მიხედვით, არა უმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
2. უსახლკაროდ დარჩენილმა ოჯახის წევრმა/წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

დ) აქტი ხანძრის შესახებ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოდან;

ე) პოლიციის მიერ მოკვლეული მასალები, ხანძრის მიზეზების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

ვ) დაზარალებულის საბანკო ანგარიში.

3. მუნიციპალიტეტის მერია საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს ინფორმაციას:

ა) სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) ოჯახის შემადგენლობის შესახებ;

ბ) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, დაინტერესებული პირისა (განმცხადებლის) და მისი ოჯახის წევრების მიერ უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის შესახებ.

4. განცხადებები, სრულყოფილ დოკუმენტაციასთან ერთად, შემოწმების და განხილვის მიზნით გადაეცემა მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი).

5. თანხა გაიცემა სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გამოცემული მერის ბრძანებით.

6. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

მუხლი 12. მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობელს, რომელსაც ჰყავს 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი, მიეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) მარტოხელა მშობლის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 13. 10 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს/ოჯახს, რომელსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აქვს 10 000!მდე სარეიტინგო ქულა, საახალწლოდ და სააღდგომოდ გადაეცემა სასურსათო პაკეტი 60 (სამოცი) ლარის ფარგლებში.

2. სასაჩუქრე პაკეტი გაიცემა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი – ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიწოდებული სიების საფუძველზე.

3. ბენეფიციარს სასაჩუქრე პაკეტი გადაეცემა მერის წარმომადგენლის მიერ, გადაცემის ფაქტი დოკუმენტურად დადასტურდება ბენეფიციარისა და მერის წარმომადგენლის ხელმოწერებით.

მუხლი 14. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფა

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირზე/ოჯახზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 100 000-ს, სადაც არ ცხოვრობს შრომისუნარიანი მამაკაცი და ოჯახს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა ზამთრის სეზონისათვის საშეშე მერქნის შესაძენად, საშეშე მერქანი გაიცემა არაუმეტეს 5მ^3-ისა.

2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ.

3. ქვეპროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

4. ქვეპროგრამის ადმინისტრირებას და კონტროლს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურები.

5. საშეშე მერქნის მიღების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში

დაიწყება დაინტერესებული პირის განცხადების (1 იანვრიდან 1 აგვისტომდე წარდგენის) საფუძველზე. სრულყოფილი მასალები შემდგომი განხილვისათვის ეგზავნება მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისი და მიმართოს რეკომენდაციით მერს, საშეშე მერქანი გაიცეს მოქალაქეზე, რომელიც ქვეპროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს და არის უკიდურესად გაჭირვებული. თანხმობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი დამატებით მოიძიებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის წერილობით შუამდგომლობას საშეშე მერქნით დახმარების პროგრამაში ჩართვის აუცილებლობის შესახებ.

6. ოჯახებს საშეშე მერქანი მიეწოდებათ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერსა და მომსახურების მიმწოდებელ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 15. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება

1. ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 65 000-ს და არის მარტოხელა პენსიონერი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (შშმ პირის შემთხვევაში);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულის შესახებ;

3. განცხადებები, სრულყოფილ დოკუმენტაციასთან ერთად, შემოწმებისა და განხილვის მიზნით გადაეცემა მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილ სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს.

4. სამუშაო ჯგუფი მიღებულ გადაწყვეტილებას (რომელიც ფორმდება სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმით) წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით, მიმართოს რეკომენდაციით მერს ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების პროგრამაში იმ ბენეფიციართა ჩართვის შესახებ, რომლებიც ქვეპროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ და არიან უკიდურესად გაჭირვებულები. თანხმობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი დამატებით მოიძიებს მერის წარმომადგენლის და მაჟორიტარი დეპუტატის წერილობითი ინფორმაციას ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების პროგრამაში ჩართვის აუცილებლობის შესახებ.

5. სამუშაო ჯგუფს გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ბრძანებას მოსარგებლეთა ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების პროგრამაში ჩარიცხვის შესახებ.

6. ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, ვანო კობახიძის ქ. №4) ყოველდღიურად, გარდა კვირისა და სხვა უქმე დღისა.

7. კვება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერსა და კვების მომსახურების მიმწოდებელ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

მუხლი 16. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა

1. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება, ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის (საწოლს მიჯაჭვული) სტატუსების მქონე პირის ოჯახზე, რომელიც:

ა) ავადობიდან (ქუადრიპლეგია, ტეტრაპლეგია, სპასტიური ცერებრალური დამბლა (ოთხივე კიდურის ღრმა პარეზით), ღრმა პარაპარეზი მენჯის და ორგანოების ფუნქციის დარღვევით) გამომდინარე ვერ იყენებს ზედა და ქვედა კიდურებს და საჭიროებს მომვლელს;

ბ) ავადობიდან გამომდინარე ვერ ახერხებს გადაადგილებას ან ამპუტირებული აქვს ქვედა ან ზედა კიდურები და ამავე დროს არის უსინათლო (პრაქტიკული სიბრმავე).

2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) შშმ პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ავადობის მითითებით);

ე) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის (შშმ პირის) პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ვ) ცნობა (შშმ პირის) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წერილობითი ინფორმაცია სტატუსის შესახებ);

ზ) შშმ პირის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 17. ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ახლადშექმნილ ოჯახზე, რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 000-ს, გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება, 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ქვეპროგრამით სარგებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა:

ა) ქორწინება (მათ შორის, ფაქტობრივი თანაცხოვრების დაწყება) შედგეს ქვეპროგრამის მოქმედების განმავლობაში;

ბ) ორივე მეუღლე რეგისტრირებული იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ერთ-ერთი – მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსით.

3. დაინტერესებულმა პირმა, ქორწინების რეგისტრაციის თარიღიდან ერთი თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ახალდაქორწინებულის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ახალდაქორწინებულის ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ვ) ცნობა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის შესახებ;

ზ) ქორწინების მოწმობის ასლი;

თ) განმცხადებლის (ახალდაქორწინებულის) საბანკო ანგარიში.

4. ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 18. „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება
1. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით დაენიშნა დიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურება და მის ოჯახს არ გააჩნია საცხოვრებელი იმ ქალაქში, სადაც სარგებლობს სახელმწიფო პროგრამით „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“. მოსარგებლე ფინანსდება ყოველთვიურად 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
2. დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა IV-N100/ა) (ყოველი თვის 10 რიცხვამდე);

დ) ფიზიკური პირის სარეგისტრაციო მონაცემების ამსახველი საინფორმაციო ბარათი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტის (ფორმა №1) ასლი (თუ ბენეფიციარის პირადობის მოწმობაში არ არის დაფიქსირებული რეგისტრაციის მისამართი);

ე) ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მუხლი 19. პროგრამის განხორციელების ვადა
პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 20. პროგრამის შედეგები
ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის გაუმჯობესებული დემოგრაფიული მდგომარეობა და ყოფითი პირობები.

მუხლი 21. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 22. პროგრამის ადმინისტრირება და კონტროლი
1. სოციალური დახმარების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება მუნიციპალიტეტის მერიაში იწყება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.
2. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია.

3. პროგრამის მიმდინარეობაზე მონიტორინგს და კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

4. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მერის მიერ გამოცემული ბრძანების ფორმით.

5. პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო.